საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

დეპოზიტების თვის მიმოხილვა

2024

სარჩევი

ინფლაცია 3
საბანკო სექტორი 5
საგარეო სექტორი 7
სავალუტო ბაზარი 11
ფულადი ბაზარი 14
მონეტარული აგრეგატები 15

"თვის მიმოხილვა"
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

ინფლაცია

ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე ქვემოთ ნარჩუნდება. ნოემბერში წლიურმა ინფლაციამ 1.3% შეადგინა. ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას მეტწილად ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ინფლაციის დაბალი დონე განაპირობებს, რაც თავის მხრივ გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობაზე მიუთითებს. წინა თვესთან შედარებით ინფლაცია 0.7%-ით გაიზარდა, რაც მეტწილად გარკვეული სურსათის ფასების მატებას უკავშირდება.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, 1.6% შეადგინა.

თვის ინფლაცია 0.7% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 1.3% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ნოემბერში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაზე ყველაზე მეტად ფასების სეზონურმა ცვლილებებმა იმოქმედა. პომიდორის, კიტრის და მწვანილის გაძვირებამ თვის ინფლაცია ჯამში 0.4 პროცენტული პუნქტით (პპ) გაზარდა, ბენზინის გაიაფებამ კი 0.1 პპ-ით შეამცირა.

წლიურ ჭრილში ინფლაციის მატებაზე მეტწილად გარკვეული სურსათის გაძვირებამ იმოქმედა. მიმდინარე წლის განმავლობაში სურსათის ფასები მეტწილად დეფლაციური იყო. ნოემბერში კი სურსათის ფასებმა წლიურად 2.7%-ით მოიმატა, რისი გავლენაც ინფლაციაზე 0.8 პპ-ია. აქედან გამოსარჩევი მწვანილის, პომიდვრის და ჩამოსასხმელი ღვინის გაძვირებაა (ჯამური გავლენა ინფლაციაზე 0.5 პპ). ინფლაციის შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად ინტერნეტის, ბენზინის და ელექტროენერგიის გადასახადის შემცირება მოქმედებდა (ჯამში 1.0 პპ)

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივი ინფლაცია დაბალ დონეზე ნარჩუნდება და ნოემბერში 1.8% შეადგინა. მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივი ინფლაციის ძირითადი შემადგენელია, ნოემბერში 2.0%-ის დონეზე იყო. იმპორტირებული პროდუქტები, პირველ რიგში საწვავის ფასების გავლენით (-0.4 პპ), ნოემბერში დეფლაციური იყო (-1.7%). შერეული პროდუქტების ინფლაცია 3.1%-მდე გაიზარდა და ამის მთავარი მიზეზი შერეულად წარმოებული სურსათის (მწვანილი, პომიდორი, შოკოლადი) გაძვირებაა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2024 წლის წონები	ნოე24/ოქტ24		ნოე24/ნოე23	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.7%	0.7%	1.3%	1.3%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.4%	2.2%	0.7%	3.1%	1.0%
სურსათი	30.4%	2.4%	0.7%	2.7%	0.8%
პური და პურპროდუქტები	6.1%	0.7%	0.0%	0.9%	0.1%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	-0.4%	0.0%	0.5%	0.0%
თევზეული	0.4%	2.6%	0.0%	1.3%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	1.0%	0.1%	-1.5%	-0.1%
ზეთი და ცხიმი	2.5%	3.3%	0.1%	5.0%	0.1%
ხილი, ყურძენი	1.6%	-3.6%	-0.1%	3.6%	0.1%
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.2%	17.9%	0.5%	15.5%	0.5%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	3.4%	0.1%	7.0%	0.2%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	0.3%	0.0%	3.0%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.8%	0.0%	6.7%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.8%	0.9%	0.1%	5.1%	0.3%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	-1.0%	0.0%	-0.5%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.7%	0.3%	0.0%	-3.7%	-0.3%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.5%	0.0%	0.0%	-0.6%	0.0%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	0.9%	0.1%	2.1%	0.2%
ტრანსპორტი	12.0%	-1.5%	-0.2%	-2.1%	-0.3%
კავშირგაბმულობა	3.7%	-0.1%	0.0%	-12.9%	-0.5%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.3%	-0.6%	0.0%	-0.1%	0.0%
განათლება	4.6%	0.0%	0.0%	4.9%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	-0.5%	0.0%	7.1%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.2%	0.8%	0.0%	6.6%	0.3%
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	63.1%	1.4%	0.9%	1.4%	0.9%
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	7.2%	-1.0%	-0.1%	-1.6%	-0.1%
ხანგრძლივვადიანი მოხმარების საქონელი	4.9%	-0.3%	0.0%	-0.3%	0.0%
მომსახურება	24.8%	-0.2%	-0.1%	2.0%	0.5%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი

ოქტომბერში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 7.3 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 0.3 მლრდ ლარით შემცირდა) და 57.1 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 14.7%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 1.2 მლრდ ლარით (4.1%-ით) შემცირდა და 27.9 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული კლება, მეტწილად მიმდინარე ანგარიშების და იურიდიული პირების დეპოზიტების შემცირებამ განაპირობა. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 1.0 მლრდ ლარით გაიზარდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 148.7 მლნ ლარით შემცირდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა და 5.9% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 7.6% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.01 პპ-ით, 1.9%-მდე შემცირდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 10.9% შეადგინა. აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთები, 0.1 პპ-ით, 2.5%-მდე შემცირდა, ხოლო ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 0.03 პპ-ით, 1.5%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების დოლარიზაციამ ოქტომბერში 50.7% შეადგინა. ოქტომბრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 1.1 პპ-ით, 65.6%-მდე, ხოლო იურიდიული პირების 2.9 პპ-ით, 42.0%-მდე გაიზარდა. ამავდროულად, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით, 63.0%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 18.6%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, სესხების ზრდის ტემპი 0.2 პპ-ით შემცირდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის შენელებამ განაპირობა. რაც შეეხება ეროვნული ვალუტით დაკრედიტებას მზარდია. კერძოდ, ოქტომბერში ეროვნული ვალუტით დაკრედიტება წლიურად 24%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 13.2 პპ წვლილი შეიტანა. ეროვნული ვალუტით დაკრედიტების ზრდა, ერთი მხრივ, ლარის ბიზნესის სესხების ზრდას უკავშირდება. ამავდროულად, მოიმატა იპოთეკური სესხების ზრდის ტემპმაც, რომლის წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.7 პპ შეადგინა.

სესხების წლიური ზრდის ტემპი (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით გაიზარდა და 13.1% შეადგინა. **ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 14.8%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 9.1%-მდე შემცირდა.**

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნაკადი)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაკადი)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 11.9%-ს შეადგენს. ხოლო იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.02 პპ-ით გაიზარდა და 11.9% შეადგინა. ოქტომბერში წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.03 პპ-ით, 9.5%-მდე შემცირდა. ასევე უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 8.1%-მდე შემცირდა.

ოქტომბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.8 პპ-ით, 43.3%-მდე შემცირდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 1.0 პპ-ით, 62.7%-მდე შემცირდა. ასევე ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაციამაც, 0.5 პპ-ით, 25.8%-მდე მოიკლო. ოქტომბერში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 162.4 მლნ ლარით გაიზარდა და 790.1 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 36.2% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი

2024 წლის ოქტომბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 12.8%-ით შემცირდა და 758.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის კლება ექსპორტის მაღალ ზრდას უკავშირდება**. აღნიშნულ თვეში, საქონლის ექსპორტმა წლიურად 39.0%-ით, 681.7 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო იმპორტი წლიურად 5.8%-ით გაიზარდა და 1,440.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (ოქტომბერი 2024)



წყარო: საქსტატი

იმპორტი - ოქტომბერში საქონლის იმპორტი წლიურად 5.8%-ით გაიზარდა. საქონლის იმპორტის მატება უმეტესად შუალედური სახის საქონლის იმპორტის მაღალმა ზრდამ განაპირობა. მოიმატა ასევე საინვესტიციო სახის საქონლის იმპორტმა, ხოლო სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტი კვლავ ზომიერად შემცირდა. შუალედური სახის საქონლის იმპორტის მატება უმეტესად ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, სპილენძისა და მანგანუმის მადნებისა და კონცენტრატების, შაქრის, ქვანახშირის ნახევარკოქსის, ელექტროენერგიისა და ხორბალი-მესლინის შესყიდვების ზრდამ განაპირობა. მეორე მხრივ, ტურბორეაქტიული ძრავების, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და სხვადასხვა ცოცხალი მცენარეების იმპორტმა დაიკლო. სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის კლებაში ყველაზე მეტი წვლილი რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების მკვეთრმა შემცირებამ განაპირობა, თუმცა მიუხედავად წლიური კლებისა, მათი მოცულობა მთლიან იმპორტში კვლავ მნიშვნელოვან წილს იკავებს. ამასთანავე მცირედით დაიკლო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, შერეული საქონლის, სატელევიზიო აპარატურისა და სამკურნალო საშუალებების ჯგუფების შესყიდვამ. მეორე მხრივ, სამომხმარებლო ჯგუფის იმპორტიდან აღსანიშნავია ხორცისა და კვების სუბპროდუქტების, სხვადასხვა ტანსაცმლისა და მზესუმზირის ზეთის შესყიდვების ზრდა. გარდა ამისა, საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება სხვა საფრენი აპარატების, 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების, ტემპერატურული ცვლილებით მასალების დასამუშავებელი მანქანებისა და სატელეფონო აპარატების შესყიდვების კლებამ განაპირობა. მეორე მხრივ, ამავე ჯგუფში ტრაქტორების, საგლინი დგანების, გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების იმპორტი წლიურად გაიზარდა. მთლიანობაში, ოქტომბერში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურად 1.3%-ით დაიკლო.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიტანა რუსეთმა, რაც უმეტესად ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ელექტროენერგიის შესყიდვებს უკავშირდება, თუმცა ამ ქვეყნიდან შაქრისა და შავი ლითონების ღრუ პროფილების იმპორტი შემცირებულია. გარდა ამისა, იაპონიიდან იმპორტის მატება მსუბუქი ავტომობილების, ხოლო სომხეთიდან როგორც სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე სხვა საფრენი აპარატების, პოლონეთიდან 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების, იტალიიდან სხვა საფრენი აპარატების გაზრდილმა შესყიდვებმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია რუმინეთიდან, ეგვიპტიდან და მალტიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ირანიდან ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან მანგანუმის მადნებისა და კონცენტრატების, ბრაზილიიდან შაქრის, ხოლო ესპანეთიდან სხვადასხვა ტანსაცმლის შესყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, დანარჩენი ქვეყნებიდან წლიურად იმპორტის კლების კუთხით გამოირჩეოდნენ იაპონია და აშშ მსუბუქი ავტომობილების, აზერბაიჯანი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ნავთობაირების, თურქეთი სამკურნალო საშუალებების, შერეული საქონლისა და სიგარები-სიგარეტების, საბერძნეთი და თურქმენეთი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ჩეხეთი ტურბორეაქტიული ძრავებისა და სიგარები-სიგარეტების, ხოლო კენია სხვადასხვა მცენარეების შესყიდვების კლების გამო. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ოქტომბერში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, ასევე სამკურნალო საშუალებებს (29%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი თითქმის 11%-ით შემცირდა, თუმცა მთლიან იმპორტში 18%-იანი წილით კვლავ წამყვანი ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია ასევე, რომ ოქტომბერში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ოქტომბერთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (ოქტომბერი 2024, მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (ოქტომბერი 2024)

წყარო: საქსტატი

ექსპორტი - ოქტომბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 39.0%-ით გაიზარდა და 681.7 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. საქონლის ექსპორტის ასეთი მაღალი ზრდა მეტწილად შუალედური სახის საქონლის ექსპორტის მატებამ განაპირობა. ამასთანავე, სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტმა კვლავ მოიმატა, ხოლო საინვესტიციო სახის საქონლის ექსპორტმა კლება დაიწყო. შუალედური სახის საქონლის ექსპორტის მატებაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი (21.8 პპ მთლიანი ექსპორტის მატებაში) ადგილობრივი წარმოების ნედლეულმა - ფეროშენადნობებისა და ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების - გაყიდვების მატებამ შეიტანა. ამასთანავე, მინერალური და ქიმიური სასუქების, ასევე დაუმუშავებელი ოქროს გაყიდვებმა მოიმატა. გარდა ამისა, ოქტომბერში, ბოლო თვეებისგან განსხვავებით, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი შედარებით მაღალი იყო, თან ასევე წლიურად მისი მოცულობა მომატებულია.

სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფიდან ყველაზე მეტი დადებითი წვლილი მსუბუქი ავტომობილების (11.7 პპ სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდაში) და სიგარეტები-სიგარილების გაყიდვებმა შეიტანა. მოიმატა ასევე როგორც სპირტიანი სასმელების, ასევე მინერალური, მტკნარი და გაზიანი სასმელების ექსპორტმა. ამასთანავე, ადგილობრივი საქონლის ჯგუფებიდან აღსანიშნავია თხილი-კაკლისა და სხვადასხვა ხილის ჯგუფების ექსპორტის მატება. საინვესტიციო საქონლიდან ტრაქტორების, გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, სამშენებლო მანქანა-დანადგარების, ელექტრული მანქანა-ტრანსფორმატორების ექსპორტმა დაიკლო, ხოლო სატვირთო ავტომობილებისა და ბულდოზერები-ავტოგრეიდერების რეექსპორტმა კი ზომიერად დაიკლო. ოქტომბერში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 21.3%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების მატებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიტანა ყირგიზეთში ექსპორტის მატებამ, რაც უმეტესად მსუბუქი ავტომობილების მკვეთრად გაზრდილმა გაყიდვებმა განაპირობა. გარდა ამისა, თურქეთსა და აშშ-ში ფეროშენადნობების, ხოლო ჩინეთსა და ბულგარეთში სპილენძისა და ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია რუსეთში სპირტიანი სასმელებისა და სხვადასხვა ხილის, პერუში მინერალური და ქიმიური სასუქების, თურქმენეთში გაყინული ხორცისა და კვების სუბპროდუქტების, საუდის არაბეთში ცოცხალი ცხვრებისა და თხების, ხოლო ყაზახეთში მსუბუქი ავტომობილებისა და მაცივარი-საყინულეების გაყიდვების მატება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი შემცირდა. კერძოდ, აზერბაიჯანში მსუბუქი ავტომობილებისა და ტრაქტორების გაყიდვებმა წლიურად დაიკლო. ამასთანავე დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია მოროკოში ქიმიური და მინერალური სასუქების, ერაყში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ხოლო საბერძნეთში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტის ზომიერი კლება. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 73% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ოქტომბერში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (35%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. წილობრივად ასევე მაღალი იყო ფეროშენადნობების, სპირტიანი სასმელებისა და ძვირფასი ლითონების მადნების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის მატებაში ყველაზე მაღალი წვლილები ფეროშენადნობებისა და მსუბუქი ავტომობილების ჯგუფებმა შეიტანეს (16.4 პპ და 8.5 პპ მთლიან ცვლილებაში შესაბამისად). ოქტომბერში, წინა თვისგან განსხვავებით, ფეროშენადნობების გაყიდვებმა მოიმატა და წლიურად თითქმის 26-ჯერ (83 მლნ აშშ დოლარამდე) გაიზარდა. წლის დასაწყისიდან მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შემცირება დაიწყო, თუმცა წლის მეორე ნახევარში გაყიდვებმა იმატა. კერძოდ, ოქტომბერში წლიურად მნიშვნელოვნად (21.3%-ით) მოიმატა და 238 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, ექსპორტის მოცულობაზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ტრაქტორები-უნაგირა საწევარების ჯგუფებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი კლება უარყოფითად აისახა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ოქტომბერი 2024, მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ოქტომბერი 2024)



წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - ოქტომბერში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 1.5%-ით დაიკლო და 281.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 12.1%-ით 35.7 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

წლიურად ფულადი გზავნილების მცირედი კლება საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება. ოქტომბერში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 44%-ით, 34 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მაღალი ტემპებით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან და ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები (20.6%-ით და 23.1%-ით). ასევე, დანარჩენი ქვეყნებიდან, როგორიცაა ყირგიზეთი და გაერთიანებული სამეფო, გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ ზრდადია (177.7%-იანი და 10.3% -იანი მატება, შესაბამისად).

კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას. ოქტომბერში, რეგიონის ქვეყნებიდან, კერძოდ აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო (11.3%-იანი და 53.8%-იანი კლება). უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე რჩება.

ოქტომბერში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.3%), აშშ (18.1%) და რუსეთი (12.2%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (ოქტომბერი 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7077-დან 2.7263-მდე (0.7%-ით) გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ - 3.0082-დან 2.9765-მდე (1.1%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7468 და 2.9759 შეადგინა. ოქტომბერში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7468 იყო, მინიმალური კი - 2.7143.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმუმზე ორჯერ მეტად იყო გადახრილი.

ოქტომბერში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია თურქული ლირის, ლარის, ევროსა და რუსული რუბლის გაუფასურება; ხოლო სომხური დრამი და აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (ოქტომბერი 2024; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 8.4%-ით გაუფასურდა, თვის ჭრილში კი 0.1%-ით გამყარდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიურად გამყარება 1.2%, თვის ჭრილში კი 0.6%-ია.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციაზე ზრდის წნეხს ქმნის.

სავაჭრო პარტნიორებთან (თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი, აშშ, ევროზონა და სომხეთი) შედარებით ოქტომბერში წლიური ინფლაცია საქართველოში ყველაზე დაბალი იყო.

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (ოქტომბერი 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები

ოქტომბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 7[1] არასაბანკო ორგანიზაცია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა როგორც თვიურად, ასევე წლიურად გაზრდილია. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 735.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 434.6 მლნ აშშ დოლარით, წინა წლის ოქტომბერთან შედარებით კი - 531.9 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 35.5%-ით, წლიურად კი 92.7%-ით გაიზარდა.

ოქტომბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ[2] გარიგებებით ხდებოდა (98.2%) და მთლიანმა ვაჭრობამ 4,010.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 1,181.7 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის ჭრილში - 728.4 მლნ აშშ დოლარით. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 14.7% იყო. სავალუტო აუქციონის და წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით, ჯამურად, თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვამ 591.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



*ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სპოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



*გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში სპოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება წლიურ და თვის ჭრილში გაზრდილია.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ოქტომბერში სპოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 566.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ ჭრილში - 339.5 მლნ აშშ დოლარი) და 1,989.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 615.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის ჭრილში - 388.9 მლნ აშშ დოლარი) და 2,021.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სპოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

ოქტომბერში სავალუტო ფორვარდ[3] გარიგებებით (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 53.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ ჭრილში - 31.9 მლნ აშშ დოლარი) და 75.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი - არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 55.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი სპოტ გარიგებებით შეძენილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



*გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



*გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 627.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და მონეტარული ოქროს გადაფასება, ხოლო შემცირების მიმართულებით სავალუტო ინტერვენციებით უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვა და მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

ოქტომბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიცა. ამავე პერიოდში 20-20 მლნ ლარის ორი სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი შემცირდა და ოქტომბრის ბოლოს ნაშთმა 60 მლნ ლარი შეადგინა.

ოქტომბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 295.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ოქტომბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 50, 100 და 105 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 37.7 მლნ ლარით გაიზარდა და 9,222.6 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 67.5%-ს კომერციული ბანკების, 17.5%-ს ეროვნული ბანკის, 11.9%-ს რეზიდენტების, ხოლო 3.1%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. ასევე შემცირდა სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთებიც. კერძოდ, ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.12 პპ-ით, 7.56%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.08 და 0.04 პპ-ით შემცირდა და 7.79% და 7.70% შეადგინა; სახაზინო ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 0.10, 0.11 და 0.27 პპ-ით შემცირდა და, შესაბამისად, 8.35%, 8.35% და 8.39% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 1,913.9 მლნ ლარით (წლიურად 12,791.9 მლნ ლარით) 21,841.7 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (78.7%), რომლის მოცულობაც თვიურად 1,556.9 მლნ ლარით (10.0%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 357.0 მლნ ლარით (8.3%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.01 პპ-ით გაიზარდა და 7.95% შეადგინა. უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით 0.55 პპ-ით შემცირდა და 2.58% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში ფულადი ბაზრის რესურსის 44.1% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 55.3% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აგრეგატები

ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 263.1 მლნ ლარით (3.6%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 7.6 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 100.7 მლნ ლარით (1.3%-ით) გაიზარდა.

ოქტომბერში, საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 56.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო აუქციონებით ეროვნულმა ბანკმა 213.4 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვებმა ოქტომბრის განმავლობაში 377.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 647.6 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. ოქტომბერში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 337.9 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 840.6 მლნ ლარს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 105.1 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 50.0 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 1,935.0 მლნ ლარით გაიზარდა. ოქტომბერში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და დაიფარა 40 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, ოქტომბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 1885.0 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 6,355.0 მლნ ლარს გაუტოლდა.

ოქტომბერში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 37.8 მლნ ლარით გაიზარდა, მეტწილად უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 1,043.7 მლრდ ლარით შემცირდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge